

შპს სიფეი ფინანსური ანგარიშგება

*2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	7
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სიფეის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის არსებითი სააღრიცხო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია სხვა აუდიტორის მიერ რომელმაც გამოსცა არამოდიფიცირებული მოსაზრება 2024 წლის 22 მარტს.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია,

რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ▶ ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საადრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- ▶ განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დამცავად და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- ▶ განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.



მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

8 აპრილი 2025

თბილისი, საქართველო



შპს „სიფი“

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	4	29	22
სულ გრძელვადიანი აქტივები		29	22
მოკლევადიანი აქტივები			
ანგარიშსწორების აგენტი სათვის გადახდილი ავანსი		1,459	1,329
სხვა აქტივები		29	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები			4
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,489	1,333
სულ აქტივები		1,518	1,355
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი		20	20
აკუმულირებული მოგება		204	199
სულ საკუთარი კაპიტალი		224	219
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	6	1,294	1,136
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,294	1,136
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,518	1,355

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 8 აპრილს.

დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 9-19 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	4	29	22
სულ გრძელვადიანი აქტივები		29	22
მოკლევადიანი აქტივები			
ანგარიშსწორების აგენტისათვის გადახდილი ავანსი		1,459	1,329
სხვა აქტივები		29	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	1	4
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,489	1,333
სულ აქტივები		1,518	1,355
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი		20	20
აკუმულირებული მოგება		204	199
სულ საკუთარი კაპიტალი		224	219
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	6	1,294	1,136
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,294	1,136
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,518	1,355

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 8 აპრილს.

დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი




ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 9-19 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების საგადახდო სისტემის მომსახურებით მიღებული საკომისიო შემოსავალი	786	807
სულ შემოსავალი	786	807
საოპერაციო ხარჯები		
ანგარიშსწორების აგენტის მომსახურების ხარჯები	(512)	(557)
თანამშრომლების ანაზღაურება	(205)	(75)
იჯარა	(19)	(7)
სხვა ხარჯები	7	(12)
საოპერაციო მოგება	5	156
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	1	-
წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(1)	-
მოგება დაბეგრამდე	5	156
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მიმდინარე წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	5	156

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 8 აპრილის.

დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 9-19 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების საგადახდო სისტემის მომსახურებით მიღებული საკომისიო შემოსავალი	786	807
სულ შემოსავალი	786	807
საოპერაციო ხარჯები		
ანგარიშსწორების აგენტის მომსახურების ხარჯები	(512)	(557)
თანამშრომლების ანაზღაურება	(205)	(75)
იჯარა	(19)	(7)
სხვა ხარჯები	7 (45)	(12)
საოპერაციო მოგება	5	156
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	1	-
წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(1)	-
მოგება დაბეგრამდე	5	156
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მიმდინარე წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	5	156

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 8 აპრილის.

დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი




ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 9-19 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
საგადახდო სისტემის მომსახურებით მიღებული საკომისიო შემოსავალი	550	632
საგადახდო მომსახურების მომხმარებლისგან(გადამხდელისგან) ჩამორიცხული ფულადი სახსრები	51,853	56,045
ანგარიშსწორების აგენტისათვის გადარიცხული თანხები	(51,600)	(56,011)
ანგარიშსწორების აგენტისთვის მომსახურების ასანაზღაურებელად გადახდილი თანხები	(519)	(563)
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)	(277)	(95)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	7	8
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
არამატერიალური აქტივების შეძენა	(10)	(10)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	(10)	(10)
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(3)	(2)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4	6
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	1	4

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 8 აპრილს.

დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
საგადახდო სისტემის მომსახურებით მიღებული საკომისიო შემოსავალი	550	632
საგადახდო მომსახურების მომხმარებლისგან (გადახდებისგან) ჩამორიცხული ფულადი სახსრები	51,853	56,045
ანგარიშსწორების აგენტისათვის გადარიცხული თანხები	(51,600)	(56,011)
ანგარიშსწორების აგენტისთვის მომსახურების ასანაზღაურებელად გადახდილი თანხები	(519)	(563)
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)	(277)	(95)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	7	8
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
არამატერიალური აქტივების შეძენა	(10)	(10)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	(10)	(10)
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(3)	(2)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4	6
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	1	4

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 8 აპრილს.

დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი




ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 9-19 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

შპს „სიფი“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ (დაუფარავი ზარალი)	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	20	43	63
პერიოდის სრული შემოსავალი	-	156	156
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	20	199	219
პერიოდის სრული შემოსავალი	-	5	5
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	20	204	224

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 8 აპრილის.

დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 9-19 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

შპს „სიფეი“
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ (დაუფარავი ზარალი)	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	20	43	63
პერიოდის სრული შემოსავალი	-	156	156
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	20	199	219
პერიოდის სრული შემოსავალი	-	5	5
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	20	204	224

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 8 აპრილის.

დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი



ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 9-19 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „სიფი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით 2017 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდა: 405228819. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამზირი პეკინი, N 33ა, სართული 2, ბინა N 26.

კომპანია წარმოადგენს საგადახლო მომსახურების პროვაიდერ ფირმას, რომელიც ოპერირებს ლოკალურ ბაზარზე. 2022 წლის 10 თებერვალს მიიღო საქართველოს ეროვნული ბანკისგან საგადახლო მომსახურების პროვაიდერის ლიცენზია და მიენიჭა სარეგისტრაციო ნომერი 0094-2904. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს მინიჭებული მნიშვნელოვანი საგადასახლო მომსახურების პროვაიდერის სტატუსი.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის მესაკუთრეები არიან შპს სი ჯგუფი (სკ 405110400) 90% და ფიზიკური პირი ლევან თვაური (პნ 01010016317) 10%. შპს სი ჯგუფის და შესაბამისად შპს სიფის მაკონტროლებელ პირთა ჯგუფი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია ქვემოთ:

გვარი, სახელი	წილი 31.12.2024	წილი 31.12.2023
კანდელაკი გურამი (01026011514)	33%	33%
კანდელაკი თამარი (01026011515)	17%	17%
კანდელაკი ნაზიკო (01024020434)	7%	7%
მამადაშვილი გიორგი (01013002170)	5%	5%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ საწინააღმდეგო არ იქნება მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.

ეს გამოცემა არ მოიცავს იმ საბუღალტრო სტანდარტებს, რომელთა ამოქმედების თარიღი 2024 წლის 1 იანვრის შემდეგია.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები) მე-30 პარაგრაფი ავალდებულებს კომპანიას, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ასახავს იმ სტანდარტებს და შესწორებებს, რომლებიც უკვე გამოცემულია, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა.

ცხრილი – საბუღალტრო სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა (2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (აღრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრეტაციები

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორებები)	აგვ-23	1-იან-25	ბასს 21, ფასს 1
--	--------	----------	-----------------

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა

ბასს 21-ში შეტანილი ცვლილებები კომპანიას ავალდებულებს, რომ მან გამოიყენოს თანმიმდევრული მიდგომა იმის დასადგენად, არის თუ არა ვალუტა გაცვლითუნარიანი და, იმ შემთხვევაში, თუ არ არის, როგორ უნდა განისაზღვროს გამოსაყენებელი გაცვლითი კურსი და რა სახის ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს. არამომდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის დამატებითი შესწორება) IASB-მ 2022 წლის ოქტომბერში ბასს 1-ში შემდგომი შესწორებები შეიტანა, რათა განემარტა, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების გადავადების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას გარანტიების შესრულება მოეთხოვება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც სავალდებულოდ ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან.

წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევაში. თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს.

2.3 წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ათას ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

2.4 სამართლიანი ღირებულება.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება: აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე. მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება სორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას, მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიპოვება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების

ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

2.5 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით აქტივებისა და ვალდებულებების გარდა), ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარების მომენტში, კომპანია სხვაობას აღიცხავს შემდგენიარად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი).
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი გადავადდება აქტივის ან ვალდებულების საწყის საბალანსო ღირებულებაში შეყვანით).

პირველადი აღიარების შემდეგ გადავადებული მოგება ან ზარალი აისახება, როგორც მოგება ან ზარალი რაციონალური საფუძველით მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი წარმოიშობა იმ ფაქტორის (მათ შორის, დროის) ცვლილებიდან, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

2.6 კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულად; რეალური ღირებულებით შეფასებულად, ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ან მოგება-ზარალში ასახვით აქტივებისა.

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულად, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ან მოგება-ზარალში ასახვით აქტივებისა:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია, ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი უნდა კლასიფიცირდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია, როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე, ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულების ცვლილების ასახვით სხვა სრულ შემოსავალში, აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში. აღნიშნულში შედის ყველა წარმოებული ფინანსური აქტივი.

კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება მხოლოდ შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულად:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს მოდელი	მოსალოდნელი ფულადი ნაკადების განმარტება	შეფასების კატეგორია
სალარო და ნაშთი ბანკებში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

ბიზნეს-მოდელის შეფასება

კომპანია ახდენს ბიზნეს-მოდელის მიზნის შეფასებას, რომლის მიხედვითაც ფლობს ფინანსურ აქტივებს, ცალკეული პორტფელის დონეზე, ვინაიდან, ამ სახით საუკეთესოდ აისახება კომპანიაში დანერგილი ბიზნესის მართვისა და ინფორმაციის მენეჯმენტისთვის წარდგენის მეთოდები. ინფორმაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დადგინდეს პოლიტიკებსა და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკების პრაქტიკაში განხორციელებას. ეს განსაზღვრავს, მიმართულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პორტფელის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევაზე დაკავშირებული ვალდებულებების ხანგრძლივობასთან თუ ფულადი სახსრების გადინებასა და ფულადი ნაკადების მიღებაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ არის შეფასებული და წარდგენილი კომპანიის ხელმძღვანელობისთვის პორტფელის მაჩვენებლები;
- რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს მოდელზე (და ამ ბიზნეს მოდელით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება მენეჯმენტის ანაზღაურება - მაგალითად, ეფუძნება თუ არა მათი ანაზღაურება ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლებიც ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე მოგება-ზარალში, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არ არის განკუთვნილი.

შეფასება, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას

ამ შეფასების მიზნებისთვის, 'ძირითადი თანხა' განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირითადთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე, სხვა ძირითადი დაკრედიტების რისკებისა და დანახარჯებისთვის (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) და მოგების მარჟისთვის.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, კომპანია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს შეფასება მოიცავს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც, შესაძლოა, ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, იმდაგვარად, რომ დაირღვეს შესაბამისობა ამ პირობებთან. ამ შეფასების გაკეთებისას კომპანია განიხილავს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შესაძლოა, ცვლიდეს ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობებს, რომლებსაც შეუძლიათ, შეცვალონ სახელშეკრულებო განაკვეთი, ცვლადი განაკვეთის ჩათვლით;
- წინასწარ გადახდისა და გადავადების ფუნქციებს;
- პირობებს, რომლებიც ზღუდავენ კომპანიის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციის შემდგომი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან. მიმდინარე და გასულ საანგარიშო პერიოდში ბიზნეს-მოდელი, რომლის პირობებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ სახსრებს, არ შეცვლილა და ამდენად, რეკლასიფიცირება არ მომხდარა. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობაში გათვალისწინებულია საბუღალტრო/საადრინგზო

პოლიტიკით ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

2.7 არამატერიალური აქტივები.

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 20 წლის გაანგარიშებით.

2.8 მოგების გადასახადი.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომელის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდულებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდულების უმრავლესობა, მათ შორის კომპანიაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.9 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე, თორმეტი თვის განმავლობაში, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.10 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე, კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის, წილობრივი ინსტრუმენტი, გადაანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება, როგორც სამართლიანი ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთები: 1 აშშ დოლარი = 2.8068 ლარი და 1 ევრო = 2.9306 ლარი (2023 წლის 31 დეკემბრისთვის: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი და 1 ევრო = 2.9753 ლარი).

2.11 სხვა მომსახურების გაწვიდან ამონაგების აღიარება.

გაყიდული მომსახურება აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ისა და ფასდათმობის გარეშე.

2.12 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.13 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.14 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცებს.

2.15 მიღებული გასამრჯელო და საკომისიო.

კომპანია გამოიმუშავეს სხვადასხვა ტიპის მომსახურებაზე საკომისიოს, რომელთა აღიარებაც ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულებისთანავე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად,

შპს „სიფი“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც, შესაძლოა, განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. კომპანია მინიმალური ოპერირების გამო მნიშვნელოვანი შეფასებასთან ან განსჯას დაქვემდებარებული ფინანსური ელემენტი არ აქვს.

შპს „სიფი“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა
ისტორიული ღირებულება:	
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10
შეძენა	13
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23
შეძენა	8
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	31
ამორტიზაცია:	
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
პერიოდის ამორტიზაცია	1
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1
პერიოდის ამორტიზაცია	1
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული საბანკო ანგარიშებზე (ლარი)	1	4
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	4

6. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
წინასწარ მიღებული თანხები საგადახლო მომსახურების მომხმარებლებისგან(გადამხდელისგან)	1,294	1,136
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,294	1,136

7. სხვა ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
საბანკო ხარჯები	14	1
მომსახურების ხარჯი	23	3
აუდიტის ხარჯი	6	5
სხვა ხარჯი	1	2
ცვეთა და ამორტიზაცია	1	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	45	12

8. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა, შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ

რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებსა და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, შესაძლოა, შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები, შესაძლოა, უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე, შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ აღიარებული ანარიცხების გარდა სხვა მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას.

9. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გაცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადოდ .ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

9.1 საკრედიტო რისკი.

საკრედიტო რისკი ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ სესხების გაცემისას და სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი საშუალებები	1	4
ანგარიშსწორების აგენტისათვის გადახდილი ავანსი	1,459	1,329

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთაქვეითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ყველაზე უკეთ ასახავს მათი საბალანსო ღირებულება. ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მაქსიმალური საკრედიტო რისკის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ქვევით პარაგრაფში.

9.2 საბაზრო რისკი.

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, და (დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა, დაკავშირებული იქნეს, - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი. კომპანიას არ აქვს უცხოურ ვალუტაში ნომინირებული აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად იგი არ ექვემდებარება ამ რისკს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიას არ აქვს ისეთი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები რომლებსაც ერიცხება პროცენტები, რის გამოც იგი არ ექვემდებარება ამ რისკს.

ლიკვიდრობის რისკი. ლიკვიდრობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ, შეიძლება, ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა მართავს აქტივებს ლიკვიდრობის მიხედვით და პერიოდულ შედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და მოკლევადიან ლიკვიდრობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია, საჭიროებისამებრ, გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

კომპანია 2024 და 2023 წლების მანძილზე არ დგას ლიკვიდობის რისკის წინაშე, რამდენადაც ის ამ პერიოდებისათვის არ ფლობდა ფინანსურ ვალდებულებებს.

9.3 კაპიტალის მართვა.

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია, უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია ექვემდებარება გარეშე კაპიტალის რეგულაციას ეროვნული ბანკის მიერ, ასევე მსესხებელ ბანკს დადგენილი აქვს ცალკეული შეზღუდვები კაპიტალის და ფინანსური ელემენტის სტრუქტურასთან დაკავშირებით, მათი შესაბამისობის სტატუსის დეტალები მოცემულია ქვემოთ:

9.3.1 შესაბამისობა ეროვნული ბანკის რეგულაციის მოთხოვნებთან

კომპანია შესაბამისობაშია საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის N 77/04 ბრძანებით დადგენილი რეგულირების მოთხოვნებთან.

10. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით (შესაძლოა ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბალანსო თანხები წარმოადგენს მათ რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები.

მოკლევადიანი სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას. შეფასების მეთოდები არ შეცვლილა წინა წელთან შედარებით.

11. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

ფასს 9-ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის ყველა ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია ბიზნეს-მოდელის საფუძველზე მოხდა. ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით წარდგენილ, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახულ და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახულ აქტივებად. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი წარმოადგენს ამორტიზებული ღირებულებით წარდგენილ ფინანსურ აქტივს.

2024 და 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის კომპანია ფლობს მხოლოდ ფინანსურ აქტივებს კატეგორიით „საბანკო ნაშთები მოთხოვნად“

12. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის - „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება, დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება, არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები, მათ შორის ღირებულება	დედა კომპანიის საკუთრებაში არსებული კომპანია	მაკონტროლებელი პირების მიერ კონტროლირებადი სხვა კომპანია
ანგარიშსწორების აგენტისათვის გადახდილი ავანსი	-	-	1,405
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	44
იჯარის ხარჯი	-	19	-
საკომისიო ხარჯი	-	-	512
მოკლევადიანი სარგებელი - ხელფასები (გადასადხელი)	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი - ხელფასები (ხარჯი)	77	-	-

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები, მათ შორის ღირებულება	დედა კომპანიის საკუთრებაში არსებული კომპანია	მაკონტროლებელი პირების მიერ კონტროლირებადი სხვა კომპანია
ანგარიშსწორების აგენტისათვის გადახდილი ავანსი	-	-	1,329
იჯარის ხარჯი	-	7	-
საკომისიო ხარჯი	-	-	557
მოკლევადიანი სარგებელი - ხელფასები (გადასადხელი)	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი - ხელფასები (ხარჯი)	33	-	-

13. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ არ ყოფილა რაიმე მოვლენა ან ახალი გარემოება, რომელიც მოითხოვდა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ციფრების შეცვლას ან დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.